პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 7 (5108) | კვირა, 9 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა

უფრო ფართო გაქანება პოლიტიკურ მუშაობას სოფლად! („პრავდის“ მოწინავე)

გადაჭრით გავაძლიეროთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ჩადიან მოსკოვში (1-ლი გვ.)

ერ. გურგულაძე — სწავლების მაღალი ხარისხისათვის (მე-2 გვ.)

დ. როდონაია — გუნებრივი სიმდიდრენი სოციალიზმის სამსახურში (მე-3 გვ.)

ვიქტორ გაბესკირია — „ყეფხის-ტყაოსნის“ გადარჩენა (ლექსი, მე-3 გვ.)

უცხოეთში:

ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის მისალმება ფრანციის (მე-2 გვ.)

ჩაურევლობის პოლიტიკა ჩაიშალა (მე-2 გვ.)

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-2 გვ.).

ერთვნული ბიბლიოთეკა

გადაჭრით გავაძლიეროთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება

უფრო ფართო გაქანება პოლიტიკურ მუშაობას სოფლად!

ჩვენი სოფლის ცხოვრებაში საარჩევნო კამპანიამ წარუშლელი კვალი დასტოვა. საბჭოთა გლეხობამ ერთხელ კიდევ არაჩვეულებრივი ძლიერებით იგრძნო თავისი მჭიდრო, განუყრელი კავშირი მუშათა კლასთან, ლენინ-სტალინის პარტიასთან. საარჩევნო კამპანიამ გლეხობის ახალი ფენები ჩააბა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში, ხელი შეუწყო ნიჭიერ და პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულ აგიტატორთა, პროპაგანდისტთა, ორგანიზატორთა დაწინაურებას ხალხიდან. ათეული ათასობით წრეები სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შესასწავლად, საუბრები, გაზეთების კითხვა, მრავალრიცხოვანი კრებები და მიტინგები — ყოველივე ეს მასების ბოლშევიკური აღზრდის ჩინებული სკოლა გამოდგა.

საარჩევნო კამპანიამ სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაშიც დიდი კვალი დასტოვა. მან გააქტივა სოფლის კომუნისტები, აიძულა ახლებურად შეეხედნათ გარშემო მყოფი ადამიანებისათვის, დაეხმარა აღმოეჩინათ, მათში ახალი თვისებანი. თუ წინათ, არჩევნებამდე, ბევრი პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეებში მხოლოდ ბრიგადირებს, რგოლის ხელმძღვანელებს, ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს ხედავდა, ახლა მდგომარეობა შეიცვალა.

აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს საქ. კ. პ. (ბ) რიაზანის ოლქის რიბნოვსკის რაიკომის მდივანი, ამხ. ბასიუბინი: „ბევრ ადამიანს რაიონში ჩვენ ან სულ არ ვიცნობდით, ან ცალმხრივად ვიცნობდით... საარჩევნო კამპანიამ ამ ამხანაგებში აღმოაჩინა ახალი, ჩვენთვის წინათ უცნობი თვისებანი. აღმოჩნდა, რომ უპარტიო კოლმეურნე ბელოვი საუცხოო ორგანიზატორია, მან სანიმუშოდ დააყენა საარჩევნო უბანის მუშაობა; გრიშინი, მუზალევა, ნოვიჩკოვა უნარიანი და გონიერი აგიტატორები არიან; ახალგაზრდა კომკავშირელი ლაზარევი ცუდი პროპაგანდისტი როდია...“

ასე იყო ყველგან, სადაც პარტიული ორგანიზაციები თავის საკუთარ ნაშუქში კი არ ემწყვდეოდნენ, არამედ ცდილობდნენ განემტკიცებინათ კავშირი უპარტიოებთან. თითქმის ყოველ პარტიულ ორგანიზაციას არჩევნების შედეგად გარს შემოერტყა უპარტიო აქტივი — საუცხოო თანაშემწეები, რომელთა დახმარებითაც პირდაპირ სასწაულების მოხდენა შეიძლება. რა საცოდავად გამოიყურება ამ თვალსაზრისით ზოგიერთი უხეიროო ხელმძღვანელის ლაპარაკი იმის შესახებ, კადრები არ გვყოფნის, მუშაკთა შერჩევა ძნელიაო და სხვ. უმჯობეს ადამიანები! საუცხოო, ნიჭიერი, გაბედული და ინიციატივიანი მუშაკი, პარტიული და არაპარტიული, ჩვენში უამრავია, საჭიროა მხოლოდ დაინახო ისინი და აღზარდო, გასწმინდო გზა მათი ზრდისათვის და ასწავლო მათ.

ადგილებზე უკვე დაიწყო, აქტივის ახალი კადრების დაწინაურება. კალინინის ოლქში ამხ. მალიშევი, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, დაწინაურებულია პუსტოშკინოს რაიონის პოლიტპარტიული მტს-ის დირექტორის პოსტზე. ამხ. იაკოვლევი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გახდა ოპერეცკის 1-ლი მტს-ის დირექტორი. დასავლეთ ყაზახეთის ოლქში წარჩინებული კომბაინერი ორდენოსანი ივანე ლოგვინენკო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დამტკიცებულია მტს-ის დირექტორად. ორდენოსანი კომბაინერი თევდორე კოლესოვი ახლა ორენბურგის ოლქის ტოცკის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარეა. რიაზანის ოლქის რიბნოვსკის რაიონში რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა დაკომპლექტებას შემოწმებული ხელმძღვანელი მუშაკებით. ამ ამოცანის შესრულება იქნება პარტიულ ორგანიზაციათა სერიოზული გამოცდა, გამოცდა მათი უნარისა გასწორონ ხელმძღვანელობა ახალ პირობებში.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საფუძვლიანად იწმინდებიან ტროცკისტ-ბუხარინული ჯაშუშებისაგან — ხალხის ამ მოსისხლე მტრებისაგან, რომელნიც კოლმეურნე გლეხობას შიმშილობასა და მეშმისულის უღელს უმზადებდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ არიან, ჯერ კიდევ მოქმედებენ მტრის ნაძირალები, და ჩვენ ერთი წუთითაც კი არ უნდა შევაჩეროთ სიფხიზლე, არ შეგვიძლია დავუშვათ პოლიტიკური უდარდელობის ოდნავი გამოჩენაც კი. ბოლშევიზმის დაუფლება, ფხიზელი პოლიტიკური თვალი, მტრების მხილებისა და მოსპობის უნარი—აი რა ესაჭიროება ყველა ჩვენს მუშაკს, პარტიულსა და უპარტიოს.

1938 წლის საგაზაფხულო თესვას მრავალი ახალი მხარე ახასიათებს. წელს ჩვენ უშუალოდ მივადგებით 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის შესახებ ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული ლოზუნგის სრულ განხორციელებას. კოლმეურნეთა

პოლიტიკური მუშაობის მიმართულება, მისაარსი განისაზღვრება პარტიის უმნიშვნელოვანესი, ახლა მთავარი ამოცანებით. ახლა, მაგალითად, არ არის სოფლად იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების გაშლა საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესოდ მომზადებაში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ თავის ამასწინანდელ დადგენილებაში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ ტყუილად როდი დაავალეს ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციას:

„ფართოდ და ჯეროვანი ყოველდღიური ხელმძღვანელობით მოამწყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეჯიბრება საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესოდ მომზადებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკოლმეურნეო აქტივთან და სტახანოვლებთან პარტიული ორგანიზაციების ცოცხალი კავშირის განმტკიცებას“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა თავისი ძალღონე და ყურადღება უნდა მოახმარონ თესვის-წინა სამზადისს. პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ შესძლებს სათავეში ჩაუდგეს სოციალისტურ შეჯიბრებას, როცა იგი უამბობს, აუხსნის თვითეულ კოლმეურნეს ამ შეჯიბრების მნიშვნელობასა და მიზანს, როცა იგი შესძლებს გააძლიეროს მასების გაფთრება იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის, ზიანს აყენებს თესვას, როცა მოწინავე კოლმეურნეთა და სტახანოველთა მაგალითზე იგი გვიჩვენებს კოლმეურნეთა ღრმა ინტერესებას თესვისათვის საუკეთესოდ მომზადებაში. კოლმეურნეთა აქტივმა, სტახანოველებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ. პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია დაარაზმოს ეს აქტივი და გაბადოს იგი მაღალი მოსავლისათვის მებრძოლთა მოწინავე რაზმად.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სრულიადაც არ ამოიწურება საგაზაფხულო მუშაობით. შეჯიბრების მოწყობა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ახსნა მისი მნიშვნელობა, არამედ უზრუნველჰყო კიდეც მისი წარმატება. ამისათვის საჭიროა ჩასწვდე წარმოების ყველა დეტალს, შეისწავლო ტრაქტორთა რემონტის მდგომარეობა, იცოდე, თუ რა აგვიანებს თესლის გამოყოფასა და გაწმენდას, რა აფერხებს საწვავი მასალის მომარაგებასა და ადგილობრივ სასუქთა შეგროვებას, რა მდგომარეობაშია საწარმოო გეგმების შედგენა და სხვ. მაშასადამე, საჭირო გახდება ხელი მოჰკიდო სოფლის მეურნეობის საკითხებს, თვით „წვრილმანებამდე“, იცნობდე ამ მეურნეობას და პასუხს აგებდე მისთვის.

ცხოვრებაში, პრაქტიკაში, —გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელია. „ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად. და ის, ვინც ჰფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დაცირების ფასად, ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დაცირების ფასად,—იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა“.

პარტიული ხელმძღვანელი სწორად უნდა ათავსებდეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სამეურნეო ხელმძღვანელობასთან.

მთლიანად უნდა შეივითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, განვამტკიცოთ ისინი შემოწმებული მუშაკებით, არ გავწიოთ მათი მაგირობა და არ გავაუპიროვნოთ ისინი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და სახელოსნოს, ავრეთვე რაონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა დაკომპლექტებას შემოწმებული ხელმძღვანელი მუშაკებით. ამ ამოცანის შესრულება იქნება პარტიულ ორგანიზაციათა სერიოზული გამოცდა, გამოცდა მათი უნარისა გასწორონ ხელმძღვანელობა ახალ პირობებში.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საფუძვლიანად იწმინდებიან ტროცკისტ-ბუხარინული ჯაშუშებისაგან — ხალხის ამ მოსისხლე მტრებისაგან, რომელნიც კოლმეურნე გლეხობას შიმშილობასა და მეშმისულის უღელს უმზადებდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ არიან, ჯერ კიდევ მოქმედებენ მტრის ნაძირალები, და ჩვენ ერთი წუთითაც კი არ უნდა შევაჩეროთ სიფხიზლე, არ შეგვიძლია დავუშვათ პოლიტიკური უდარდელობის ოდნავი გამოჩენაც კი. ბოლშევიზმის დაუფლება, ფხიზელი პოლიტიკური თვალი, მტრების მხილებისა და მოსპობის უნარი—აი რა ესაჭიროება ყველა ჩვენს მუშაკს, პარტიულსა და უპარტიოს.

1938 წლის საგაზაფხულო თესვას მრავალი ახალი მხარე ახასიათებს. წელს ჩვენ უშუალოდ მივადგებით 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის შესახებ ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული ლოზუნგის სრულ განხორციელებას. კოლმეურნეთა

საკოლმეურნეო მინდვრებს მაღალხარისხოვანი თესლი

(ჟუთაისი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს უხვი მოსავალი მიიღეს. ისინი ამით ხარობენ და ზეიმობენ, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს უფლებას გულზე ხელები დავიკრიფოთ, უდარდელობას მივეცეთ და ვიფიქროთ, — უხვი მოსავალი თავისთავად მოვა-თქო. ასეთ განწყობილებას საერთო არა აქვს რა ბოლშევიკური სტილით მუშაობასთან.

უხვი მოსავლის ბედი ახლა წყდება. კოლმეურნეობები ამთავითვე უნდა შეუდგნენ სერიოზულად მუშაობას და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულს.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჭუთაისის რაიონის კოლმეურნეობებში? აშკარად არადამაკმაყოფილებელი. მართალია, ჭუთაისის რაიონში დროულად და გადაჭარბებით გამოიყო სათესლე ფონდი: 6.990 ცენტნერი სიმინდი და 1.158 ცენტნერი სოია, ნაცვლად 6.197 ცენტნ. სიმინდისა და 794 ცენტნ. სოიასი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს. მთავარია ამ თესლის ხარისხის შემოწმება რაშაიც ზოგიერთი კოლმეურნეობა ყოველად შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენს.

ზოგან დღემდე არაა დამთავრებული თესლის აპრობაცია. მაგალითად, უკანეთის კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმისაკენ“, მუხიანის დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში, ოფურჩხეთის კოლმეურნეობა „ბარიტში“, ჯიმასტაროს კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული სათესლე მასალის აპრობაციის დარგში. როგორც აღნიშნული კოლმეურნეობების, ისე ჭუთაისის რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელები შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში.

უბნის აგრონომი მ. კაკაბაძე არასერიოზულად მოეკიდა აპრობაციის ჩატარებას. იგი დაკმაყოფილდა თესლის მხოლოდ ზერელე დათვალიერებით, რითაც ჭოგნარის სოფლსაბჭოში ფაქტიურად ჩაშალა აპრობაცია. თესლის ხარისხი, რომელსაც კაკაბაძემ სრულიად ზერელედ მისცა მაღალი შეფასება, ხელმეორედ შემოწმებისას უვარგისი აღმოჩნდა. აგრ. კაკაბაძეს ამ უპასუხისმგებლობისათვის პასუხი არავინ მოსთხოვა.

შესაწამლი ნივთიერება რაიონმა დროზე არ მოიმარაგა და ამის შედეგად სათესლე მასალის შეწამვლის გეგმა ჯერჯერობით შეუსრულებელი დარჩა. ბევრ კოლმეურნეობაში ჩამორჩა ჩვეულებრივი თესლის ჯიშიანზე გადაცვლის გეგმის შესრულება მაღლაკის ტელმანის სახელობის, მუხიანის დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში დღემდე ამ მხრივ ცოტა რამ გაკეთდა.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე არახისის თესლის გადარჩევის მხრივ. ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. გეგუთის კოლმეურნეობაში „წინსვლაა“ და „წინსვლა“, „ოქტომბერში“, ფარცხანაყანევის სტალინისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში არახისის თესლი დღესაც გადაურჩეველია.

კუდი მდგომარეობაა გლეხური ინვენტარის რემონტის მხრივ. რაიპურგანს (გამგე ა. ტრაპაიძე) ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება. ან რა ცნობები უნდა ჰქონდეს როცა კოლმეურნეობებს არ დაუწყიათ ასეთი იარაღის რემონტი.

რაიმიწგანი და მტს ჯერჯერობით ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და საჭირო დახმარებას ვერ უწევენ კოლმეურნეობებს და არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. დაყოვნება შეუწყნარებელია.

თესვისათვის სუსტად ემზადებიან

გუჯარეთის (ბორჯომის რაიონი) ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დანიელ ჯიკაური) საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ჯერაც არ დაუწყიათ. მართალია, აქ სათესლე მასალა გამოყოფილი აქვთ, მაგრამ მისი გაწმენდა ჯერ არ დაუწყიათ. კოლმეურნეობას არცერთი ფუთი თესლი არა აქვს გადაცვლილი ჯიშიან თესლზე.

კოლმეურნეობას აქვს ერთი ტრაქტორი და 40-მდე გუთანი, მაგრამ მის შესაკეთებლად თავს არავინ იწუხებს.

„კოლმეურნეობის საერთო გამწევი ძალიდან 100-ზე მეტი ხარი კერძო ბოსლებშია მოთავსებული, სადაც მათ ცუდად უვლიან და ცუდად ჰკვებავენ. მაგალითად, ხარების მომვლელები მიხ. თომაევი და ჯიკაევი კოლმეურნეობის თივასა და ბზეს სისტემატურად იპარავენ და თავიანთ ძროხებს აჭმევენ. ამ საქმეს კი კონტროლს არავინ უწევს. კოლმეურნეობის მესვეურთა ასეთი უზრუნველობის შედეგად 70-მდე მუშა-ხარი დასუსტებულია.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მხრივ ასევე ცუდად მუშაობენ ლიკნის, ბაკურიანისა და ციხის-ჯვრის კოლმეურნეობებში. ლიკნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე თ. გელაშვილი) შეუკეთებელია 4 გუთანი, ხოლო შესაძენია 4 გუთანი. დაუყენებული არ არის თესლის გაწმენდა. მუშა-პირუტყვი გადაყვანილი არ არის გაძლიერებულ კვებაზე. ხოლო ციხის-ჯვრის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. ნიკოლაევი) ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ.

დაუშვებლად აჭიანურებს გუთნებისა და თესვისათვის საჭირო სხვა იარაღ-მანქანების რემონტს რაიაღმასკომის სამჭედლო სახელოსნო (გამგე პ. გელაშვილი). სახელოსნოს 3 თვეზე მეტია მიღებული აქვს ტაბაწყურისა და მიწყანის დამხმარე მეურნეობის გუთნები, მაგრამ ისინი დღემდე არ შეუკეთებია. ისიც უნდა ითქვას, რომ სახელოსნო ცუდად აკეთებს მანქანა-იარაღებს. მაგალითად, სახელოსნოს მიერ შეკეთებული ლიკნის კოლმეურნეობის 4 გუთანი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა და ხელმეორედ შეკეთებას საჭიროებს.

ყველა აღნიშნული ფაქტებიდან ბორჯომის რაიონულმა ორგანიზაციებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ.

ტ. ჩიქოვანი



საქ. მიწსახკომის თესლეულის ცენტრალური სადგური
სურათზე: თესლეულის სადგურის აგრონომი სწონის ქერის თესლს, ანალიზისათვის.

ფოტო ბუდაშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ჭრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის შეკეთება ჩაშლის საფრთხეშია

მცხეთა, 8 იანვარი (საქდესი). მცხეთის მტს, რომელიც 48 კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, არადამაკმაყოფილებლად ემზადება საგაზაფხულო თესვისათვის. სამეოდგომო მძრალად ხვნის გეგმა მტს-მა მხოლოდ 33,6 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 2.509 ჰექტარი მძრალისა მხოლოდ 842 ჰექტარი მოხნა.

ტრაქტორების რემონტი აშკარად ჩაშლის საფრთხეშია. მტს-ის 54 ტრაქტორიდან რემონტს საჭიროებს 52. 5 იანვრისათვის გარემონტებულია მხოლოდ 7 ტრაქტორი. ამჟამად რემონტშია მხოლოდ 9 ტრაქტორი, რომელთაგანაც სამი კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. მათი რემონტი ბრკოლდება სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო.

დღემდე მტს-ის სახელოსნოს არ ჰყავს მჭედელი. ამის შედეგად სრულიად არაა მოგვარებული უმარტივესი სათადარიგო ნაწილების გაკეთება ადგილზე, უშუალოდ სახელოსნოში.

უფრო უარეს მდგომარეობაშია მისაბმელი იარაღის რემონტი. სრულიად არ დაუწყიათ სატრაქტორო გუთნების რემონტი, მაშინ როდესაც ასეთი გუთანი მტს-ს 48 ცალი აქვს. ჩამორჩენის მიზეზი ოგივეა: მტს-ის დირექციამ ვერ შესძლო თავისი სახელოსნოების უზრუნველყოფა მჭედელთა კადრებით.

მკვეთრი ჩამორჩენა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში აიხსნება, ძირითადად, იმით, რომ მტს-ში სრულიად არაა გაშლილი სტახანოვური მუშაობა. მუშაობის აღრიცხვა უმარტებულოდაა დაყენებული. ხელფასის დარგში არაა აღმოფხვრილი გათანაბრება.

არ ზრუნავენ მტს-ის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. რემონტზე მომუშავე ბრიგადირთა საერთო საცხოვრებელი არ თბება. არ ჰყოფნით საწოლები. ტრაქტორისტთა შორის არაა მოგვარებული მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა, ისინი არ იღებენ ჟურნალ-გაზეთებს. სოციალისტური შეჯიბრება მათ შორის არაა გაშლილი, არ არის აგიტწრე, ტექწრე და ა. შ.

მტს-ის დირექციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ შეუპოვარი ბრძოლა საგაზაფხულო თესვისათვის ბოლშევიკურად მომზადებისათვის.

სათადარიგო ნაწილების უქონლობა აბრკოლებს რემონტს

ხაშური, 8 იანვარი (საქდესი). ოსიაურის მტს-მა უნდა გაარემონტოს 58 ტრაქტორი. 7 იანვრისათვის გარემონტებულია და ჩაბარებულია აქტით 5 ტრაქტორი. დამთავრებულია კიდევ 13 ტრაქტორის რემონტი, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არაა შეღებული და მიღებული.

მტს-ის 10 სარემონტო ბრიგადა დიდი გულმოდგინეობით იბრძვის ივისათვის, რომ ვადაზე დაამთავროს ყველა ტრაქტორის რემონტი. № 1 ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. გ. ჭელიძე) შეასრულა თავისი ვალდებულება და 5 იანვრისათვის რემონტიდან გამოუშვა 4 ტრაქტორი. ამ ბრიგადის წევრები დახმარებას უწევენ ჩამორჩენილ ბრიგადებს, კერძოდ, ამხ. შ. ჭოსიაშვილის ბრიგადას, რომელსაც უნდა შეეკეთებია 7 ტრაქტორი ხოლო ჯერ მხოლოდ 3 ტრაქტორი გამოუშვა რემონტიდან.

სარემონტო ბრიგადების დამკვრელური მუშაობას აბრკოლებს ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების დიდი ნაკლებობა. ამის გამო ტრაქტორის რემონტზე საშუალოდ იხარჯება 214 საათი, ნაცვლად ნაგარაუდევი 106 საათისა. ისეთი ნაწილების უქონლობამ, როგორიც არის ცილინდრი, დგუში, გამოიწვია 7 ტრაქტორის რემონტის შეჩერება. მტს-ს სრულიად არ მოეპოვება სათადარიგო ნაწილები მისაბმელი იარაღების რემონტისათვის. მათი რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ.

რაჭიმ ჭიანურდება ტრაქტორების რემონტი

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

5 იანვრისათვის სამტრუდიის მტს-ს კაპიტალური რემონტი გაკეთებული ჰქონდა 4 ტრაქტორს, მიმდინარე რემონტი — 4-ს. ამ რიცხვისათვის რემონტის გეგმა საერთოდ შესრულებული იყო 47 პროც. ეს მოწმობს რემონტის აშკარა ჩამორჩენას.

ავტომატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს საქაროულოს განყოფილების დაუდევრობით სამტრედიის მტს-ს აკლია ტრაქტორუბის ისეთი ნაწილები, როგორიცაა სიჩქარის კოლოფის შუალერძები, ქვედა ღერძები, ჰიდსაყუბი, დისკები, ბარბაცას ჰანჭიკები და ჭანჩრები. მტს-ისა და სარემონტო სახელოსნოს მუშაკების სიაორულს ავტომატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს ჭუთაისის განყოფილებაში ბოლო არა ურჩანს, მაგრამ განყოფილების ხელმძღვანელები მათ დაპირებით ისტუმრებენ.

მტს-ის სახელოსნოში სუსტია შრომის დისციპლინა. სარემონტო ბრიგადები თუმცა დაკომპლექტებულია და ჰათზე გაპირობებულია უსაკეთებელი ტრაქტორები, მაგრამ მუშა-ხელის დენადობა მაინც დიდია. ტრაქტორისტი ბარნაბ ლეჟავა სამუშაოზე 8 დღეა არ გამოცხადებულა. ტრაქტორისტი ალექსანდრე ნუცუბიძე კარგა ხანია სადღაც წავიდა, მაშინ როდესაც ტრაქტორისტი მასზე გაპირონებული ტრაქტორის რემონტის დროს სახელოსნოში უნდა იყოს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს ტრაქტორის შეკეთებაში.

თვით სახელოსნო არ არის დამაკმაყოფილებელ პირობებში, სახურავიდან წყალი ჩამოდის, გათბობაზე არავინ ზრუნავს.

10 გუთნიდან შეკეთებულია 5. დანაწერების შესაკეთებლად აკლიათ ხრუტუნა თვლები და დგარები, რომელთა გადმოსაგზავნად „საქსოფლმომარაგება“ არავითარ ზომებს არ იღებს.

„სამეფლმომარაგებიდან“ მტს-ს ჯერ კიდევ არ მიუღია მისთვის გამოყოფილი 8 ახალი გუთანი. ალსანიშნავია, რომ აქ ცენტრის მოლოდინში არიან და ადგილობრივ რესურსებს არ იყენებენ. მტს-ს შესაძლებლობა აქვს თავისი მასალით შეაკეთოს გუთნები, მაგრამ ამისათვის დირექცია თავს არ იწუხებს.

ივ. ტაბიძე

მუშა-პირუტყვს არ უვლიან

(ტელეფონით ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან)

6 იანვარს ზესტაფონის თეატრის შენობაში შესდგა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საკოლმეურნეო ფერმების გამგეებისა და მუშა-პირუტყვის მომვლელების სარაიონო თათბირი. თათბირს 164 კაცი ესწრებოდა. თათბირმა მოისმინა მოხსენებანი ადგილებიდან—თესვისათვის მუშა-პირუტყვის მზადყოფნის შესახებ. გამოირკვა, რომ პირველი სვირის ბერიას სახელობის, ტაბაკინის ეკოვის სახელობის, მეორე სვირის კეცხოველის სახელობის, ქვალითის კუიბიშევის სახელობისა და სოფ. საზანოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბოსლების გამგეები და პირუტყვის მომვლელები—ა. კაკაურიძე, ბ. ნიკაჭაძე, ვ. ღვანიძე, ვ. ჭულუხაძე, ა. გიორგაძე, ლ. ლაბაძე, და ლ. ღიბრაძე უპასუხისმგებლობას იჩენენ მუშა-პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში. მუშა-პირუტყვი ზედმეტი მუშაობით დასუსტებულია, მას არა აქვს ნორმალური კვება და ბინები. პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 166 სულიდან 50 პროცენტზე მეტი დასუსტებულია. ტრაქტორისტი ბარნაბ ლეჟავა სამუშაოზე 8 დღეა არ გამოცხადებულა. ტრაქტორისტი ალექსანდრე ნუცუბიძე კარგა ხანია სადღაც წავიდა, მაშინ როდესაც ტრაქტორისტი მასზე გაპირონებული ტრაქტორის რემონტის დროს სახელოსნოში უნდა იყოს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს ტრაქტორის შეკეთებაში.

თვით სახელოსნო არ არის დამაკმაყოფილებელ პირობებში, სახურავიდან წყალი ჩამოდის, გათბობაზე არავინ ზრუნავს.

10 გუთნიდან შეკეთებულია 5. დანაწერების შესაკეთებლად აკლიათ ხრუტუნა თვლები და დგარები, რომელთა გადმოსაგზავნად „საქსოფლმომარაგება“ არავითარ ზომებს არ იღებს.

„სამეფლმომარაგებიდან“ მტს-ს ჯერ კიდევ არ მიუღია მისთვის გამოყოფილი 8 ახალი გუთანი. ალსანიშნავია, რომ აქ ცენტრის მოლოდინში არიან და ადგილობრივ რესურსებს არ იყენებენ. მტს-ს შესაძლებლობა აქვს თავისი მასალით შეაკეთოს გუთნები, მაგრამ ამისათვის დირექცია თავს არ იწუხებს.

ივ. ტაბიძე

თესლს არ ამზადებენ

გორი, 7 იანვარი (საქდესი). რაიონი ვიტად ჩამორჩება საზაგაფხულო თესვისათვის თესლის მომზადების საქმეში. მარცვლეული თესლის გაწმენდა ნელი ტემპით მიმდინარეობს. 1 იანვრისათვის გაწმენდილი იყო თესლის 5 პროცენტზე ნაკლები.

ამჟამად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაიმიწგანი და მტს ატარებენ თესლის ხარისხობრივი მდგომარეობის შემოწმებას კოლმეურნეობებში. თესლი შემოწმებულია 45 კოლმეურნეობაში. გამოირკვა, რომ თესლის გაწმენდა აქ სრულებით არ ხდება. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ სოფ. ჭახვრელის, ქვედა-ფლავისის და სხვა კოლმეურნეობებში საგაზაფხულო ხორბლისა და ქერის თესლი, რომელიც დამზადებულია სათესლედ, დაავადებულია ტკიპით.

რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მოაგვაროონ საგაზაფხულო თესვის სამზადისის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, კერძოდ, უზრუნველჰყონ თესვა ხარისხობრივი თესლით.

◇ ◇ ◇

ხალხის რჩეულნი—დეპუტატები მიემგზავრებიან წითელ დედაქალაქში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე

მწყაოვი, 8 იანვარი (საქდესი). სამშობლოს ყველა კუთხიდან მოჩქარებიან მოსკოვში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნაზე ხალხის რჩეულნი — დიადი საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელთა დეპუტატები.

ყაზანიდან ჩქარი მატარებლით გაემგზავრნენ მოსკოვს თათართა ასსრ რესპუბლიკის დეპუტატები — საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ალეშასოვი, თათართა რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. დინმუსამეტოვი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მიხაილოვი, სელის კომბინატის სტახანოველი მუშა-ქალი ამხ. ტუხვატულინა, პროფ. ტრუტნევი, დროჟანოვსკის მტს-ის ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირი ორდენოსანი ამხ. რომაშკინა, სტოლბიშჩენსკის მტს-ის დირექტორი ორდენოსანი ამხ. გუსევი და სხვები.

საქართველოს სს რესპუბლიკიდან სესიაზე დასასწრებლად მოსკოვს გაემგზავრა 47 დეპუტატი. მათ რიცხვში არიან თბილისის საორთქლმავლო დეპოს წარჩინებული მემანქანე ორდენოსანი ანდრია წიკლაური, თბილისის სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის უფროსი დავით ჭიჭინაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა, აფხაზეთის ჩაის პლანტაციების სტახანოველი ქალი უშახუბა და სხვები. დეპუტატები გააცილეს მეგობრებმა, ნაცნობებმა და თბილისის საწარმოთა მუშებმა.

ჩქარი მატარებლით მოსკოვს გაემგზავრნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ტალასის, ჯხოლდ-ორდის თურქმენის, კელესის, ჩიმკენტის საარჩევნო ოლქებიდან (ყაზახეთის სსრ).

ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის მისალმება ლისტერს

ბარსელონა, 6 იანვარი (საკდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხოზე დიასის ხელმოწერით მისალმება გაუგზავნა ლისტერს და მიულოცა მას სახალხო არმიის პოდპოლკოვნიკის ხარისხის მიღება.

ახალი დამხმარე ძალები ესპანელ მეამბოხეებისათვის

პარიზი, 7 იანვარი (საკდესი). ესპანის სააგენტო გიბრალტარიდან იუწყება, რომ ტერუელის ფრონტზე ძვლავ განუწყვეტლივ იგზავნება ახალი ძალები ესპანელ მეამბოხეთა დასახმარებლად. ამ დამხმარე ძალებს სხვა ფრონტების ხარჯზე გზავნიან. სიუტიდან (ესპანეთის მაროკო) მოსული 500 მაროკოელი 6 იანვარს გადასხდა ალხესირასში, საიდანაც ისინი დაუყოვნებლივ გაგზავნეს ტერუელის ფრონტზე.

ჩაურევლობის პოლიტიკა ჩაიშალა

პარიზი, 7 იანვარი(საკდესი). ესპანის სააგენტოს ბარსელონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟუომ, უპასუხა რა ესპანეთში ყოფნის დროს მისთვის მიცემულ კითხვებს, განაცხადა: „ჩაურევლობის პოლიტიკა ჩაიშალა. რესპუბლიკურ ესპანეთს უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად შეისყიდოს საზღვარგარეთ ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება. ესპანეთში არსებობს ხალხის ნება-სურვილით შექმნილი კანონიერი მთავრობა. მისი ავტორიტეტი და ძალაუფლება უდავოა. ყველგან სუფევს დისციპლინა და წესრიგი, და ეს მთავრობის ავტორიტეტის დამამტკიცებელი საბუთია. მხოლოდ ამ მთავრობას აქვს უფლება ილაპარაკოს ესპანეთის სახელით.

რესპუბლიკური ესპანეთის დამხმარე კომიტეტის პროტესტი

პარიზი, 7 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ვი უორიერის“ რედაქციის ბინა (პროფკავშირთა ორგანო) გაძარცვეს. მძარცველებმა წაიღეს რამდენიმე ათასი ფრანკი რესპუბლიკური ესპანეთის სასარგებლოდ შეგროვილ შემოწირულებათა ფონდიდან.

— ვალენსიაში შესდგა მუშათა საყოველთაო კავშირის ნაციონალური კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი. პლენუმმა განიხილა ის საკითხი, რომ ამ ორგანიზაციის რიგებში აღდგენილ იქნას ერთიანობა, რომელიც, როგორც ვიცით, დაირღვა ლარგო კაბალეროს გამოშავი მოქმედების.

— პროტესტის გამოცხადების მიზნით, ჩინეთის სახელმწიფო რადიოსამსახურის ყველა მოსამსახურემ შანხაიში 5 იანვარს სამუშაო დახურვა. იაპონელთა მიერ რადიოსადგურის დაკავების გამო. ამიტომ შანხაის კავშირი სხვა ქალაქებთან ამ სადგურის მეშვეობით შესწყდა.

— ბილბაოში და სანტონიეში იმყოფება 900 მოქალაქე, რომელთაც ესპანელმა მეამბოხეებმა სიკვდილი მიუსაჯეს.

— ა. შ. შტატებში უმუშევრობა ამჟამად გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე 1929 წლის კრიზისის პირველ სტადიაში. როგორც სახელმწიფო სტატისტიკოსი ლაბინი აღნიშნავს, 1937 წლის შუა ოქტომბრიდან შუა დეკემბრამდე დათხოვეს ორ მილიონამდე მუშა, 1929 წლის შესაბამის პერიოდში კი — ერთი მილიონი და 400 ათასი.

— ჩინეთის სახელმწიფო რადიოსამსახურის დაკავების შემდეგ, იაპონელებმა 6 იანვარს თავისი ცენზურა შემოიღეს შანხაიში არსებულ უცხოელთა სამივე სატელეგრაფო კანტორაში.

— ირუნში ესპანელ მეამბოხეთა მიერ შეპყრობილი საფრანგეთის საკონსულოს აგენტი დიუკურო და მისი სამი თანამშრომელი კვლავ პატიმრობაში იმყოფებიან.

სამხედრო მოქმედება ჩინეთში.
ჩინეთის ჯარები იცავენ იაპონელებისა თვის წართმეულ პოზიციებს.
ფოტო „სოიუზფოტო“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

შანხაი, 6 იანვარი (საკდესი). შანხაი-ხანჯოუს რკინიგზის ზონაში ჩინელთა პარტიზანული რაზმები გაძლიერებულ მოქმედებას ანვითარებენ. პარტიზანებსა და იაპონის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს ძიასინსა და სუნძიანს შუა მდებარე რაიონში (შანხაის სამხრეთით).

ხანკოუ, 7 იანვარი (საკდესი). 5 იანვარს ბრძოლა განახლდა ნანკინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში.

ხანჯოუს რაიონის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ლონდონი, 6 იანვარი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ყვითელი მდინარის მახლობლად, თავმოყრილია ჩინელთა მრავალრიცხოვანი ძალები. მოელიან, რომ აქ დიდი ბრძოლა მოხდება.

ხანკოუ, 7 იანვარი (საკდესი). შანხაი-ხანჯოუს პროვინციაში ბრძოლა სწარმოებს ჭალაქ იანჯოუს მიდამოებში (100 კილომეტრის მანძილზე ძინანის სამხრეთით).

სამხრეთ ჩინეთში

ხანკოუ, 7 იანვარი (საკდესი). როგორც სამხრეთიდან იუწყებიან, იაპონელთა ყველა დესანტი, რაც კი გადმოსხეს სხვადასხვა ჯუნქულზე გუანდუნის პროვინციის სანაპიროსთან, უკან გაიწვიეს, გარდა 200 კაცისა, რომელნიც ჯერ კიდევ რჩებიან ხებაოდაოს ჯუნქულზე. აღნიშნავენ ავრეთვე, რომ იაპონიის სამხედრო გემები ფორმოზაზე დაბრუნდნენ.

ხანკოუ, 7 იანვარი (საკდესი). 5 იანვარს იაპონიის 12 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა პაკხოის (გუანდუნის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი).

იაპონელები აბუჩად იგდებენ ინგლისური კოლიციის მოხელეებს შანხაიში

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 7 იანვარს საერთაშორისო სეტლმენტის პოლიციამ პროტესტით მიმართა იაპონიის საზღვაო ხელისუფალთ იაპონელების მიერ ორი ინგლისელი პოლიციელის შეურაცხყოფისა და გალახვის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა იაპონიის საზღვაო შტაბის შენობაში.

თითქმის იმავე მომენტში მოხდა შანხაიში ინგლისელი პოლიციელების აბუჩად აგდების ახალი შემთხვევა. 7 იანვარს დილით ინგლისელი პოლიციელი ტარნერი ხელავდა, თუ როგორ სჩხრეკდნენ ჭუჭაზე მყოფ ჩინელ ვაჭრებს იაპონელთა ჯარები. ტარნერი ამ დროს სეტლმენტის ინგლისური ნაწილის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ტარნერმა განუცხადა საერთაშორისო პოლიციის იაპონელ მოხელეებს, რომ იაპონელი ჯარები უმიზეზოდ ეპყრობიან ჩინელებს უხეშად. მაშინ იაპონელი ჯარისკაცები შეეხვეწნენ ინგლისის სექტორში, სახეში გაარტყეს ტარნერს, გაათრიეს იაპონური სექტორის ტერიტორიაზე და სასტიკად სცემეს. შემთხვევის ადგილზე გამოწვეულმა ინგლისური პოლიციის ინსპექტორმა მოითხოვა ტარნერის განთავისუფლება. მაგრამ იაპონელებმა პოლიციის ინსპექტორსაც სცემეს. შემდეგ ორივე გაანთავისუფლეს.

ინგლისური გარნიზონის სარდალმა შანხაიში სპოლეტმა სასტიკი პროტესტი განუცხადა იაპონიის საზღვაო ატაშეს გენერალ ხარადას იაპონელთა მიერ სეტლმენტის ინგლისურ ნაწილში შეჭრისა და, კერძოდ, ტარნერზე თავდასხმის გამო, სპოლეტმა გააფრთხილა, რომ ასეთი შემთხვევების გამეორებას „შესაძლოა უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს“.

საბჭოთა კავშირში

1 მილიარდ 105 მილიონი მანეთის დახმარება მრავალშვილიან დედებს.

საბჭოთა კავშირში მრავალი ათასი ოჯახი იღებს სახელმწიფო დახმარებას მრავალშვილიანობის გამო.

სსრ კავშირის ფინსახკომის ცნობით, მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების აღმოჩენისა და აბორტების აკრძალვის შესახებ მთავრობის დეკრეტის გამოცემის დღიდან (1936 წ. 27 ივნისი) 1937 წლის 1-ლ დეკემბრამდე საბჭოთა კავშირში გაცემულია 1.105 მილიონი მანეთის დახმარება.

მაგალითად, ომსკის ოლქში მრავალშვილიანმა დედებმა 30 მილიონ მანეთამდე მიიღეს. ეს ჯამი ორნახევარზე მეტჯერ აღემატება სასოფლო-სამეურნეო საშემოსავლო გადასახადის ჯამს, რომელიც შეტანილი იყო ოლქის კოლმეურნეების, კოლმეურნეობათა და ერთპიროვნული მეურნეების მიერ 1937 წლის განმავლობაში. 1936 წელს ოლქში აღნუსხული იყო დაახლოებით 1000-მდე მრავალშვილიანი დედა, ხოლო ამ წლის 1 იანვრისათვის აყვანილია აღრიცხვაზე უკვე 8857. მათ შორის 72 დედას ჰყავს არა ნაკლებ 11 შვილისა.

1938 წლის 1 იანვრიდან უმჯობესდება მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების გაცემის წესი. ამ დროიდან ფულს გასცემენ სახბანკის დაწესებულებები უშუალოდ საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან ჩეკებით, რომლებსაც ისე გასცემენ რაიონის საფინანსო განყოფილებანი, რომ ამისათვის საჭირო არ იქნება ფინორგანოებისათვის კრედიტების გახსნა წინასწარ. ეს წესი საგრძნობლად გაადვილებს დახმარების გაცემას და მოსპობს დაყოვნების შემთხვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა დღემდე ზოგიერთ ოლქსა და რესპუბლიკაში. (საკდესი).

1937 წლის ახალი ნიმუშის საბანკო ბილეთები.

(სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობისაგან).

უახლოეს ხანში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი გამოუშვებს 1937 წლის ახალი ნიმუშის საბანკო ბილეთებს, 1, 3, 5 და 10 ჩერვონეცის ღირებულებით.

თითეული კუპიური მეორისაგან განსხვავდება წინაპირის სხვადასხვა ფერის ნაბეჭდითა და სიდიდით. ყველა ბილეთზე წინაპირის მარჯვენა ნახევარზე მოთავსებულია ამხანაგ ვ. ი. ლენინის პორტრეტი, ხოლო მარცხენა ნახევარზე გამოხატულია სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბი.

ბილეთის მეორე მხარეს, რომელსაც აქვს ავრეთვე სხვადასხვა ფერის ნაბეჭდი, თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-13 მუხლისა, კავშირის შემადგენელ 11 მოკავშირე რესპუბლიკის ენებზე მოთავსებულია ბილეთების ღირებულების აღმნიშვნელი წარწერები.

ახალ საბანკო ბილეთებს აქვთ უკეთესი მხატვრული გაფორმება, წინანდელ გამოშვებასთან შედარებით.

ახალგამოშვებულ საბანკო ბილეთებს გასავალი ექნება იმ საბანკო და სახაზინო ბილეთების თანაბრად, რომლებიც წინათ არის გამოშვებული.

ახალგაზრდა სტახანოველთა სრულიად-საკავშირო თათბირი.

მოსკოვი, 7 იანვარი (საკდესი). 7 იანვარს დამთავრდა საკ. ალკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული ახალგაზრდა სტახანოველთა თათბირი.

თათბირის მონაწილენი, ლაპარაკობდნენ რა თავიანთი მუშაობის შესანიშნავ ნიმუშთა შესახებ, სასტიკად აკრიტიკებდნენ იმ სავსებით არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას, რასაც მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები სტახანოვური მოძრაობას უწევენ, აღნიშნავდნენ ახალგაზრდა სტახანოველთათვის სუსტ დახმარებას.

საბოლოო სხდომაზე გამოვიდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კოსარევი.

— მრავალი კომკავშირული ორგანიზაცია,—თქვა ამხ. კოსარევმა,— განზე უდგებიან სტახანოველთა მოძრაობის ხელმძღვანელობას, თვითდინებას ანდობენ მას და ივიწყებენ ამხანაგ სტალინის მითითებებს სტახანოველთა რიგების შემდგომი გაფართოების შესახებ. მრავალ კომკავშირულ ორგანიზაციაში სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობას სცვლიან ცალკეული რეკორდების დამყარებით.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. კოსარევმა ილაპარაკა კომკავშირული ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ქრონიკა

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. ჯ. ი. ბუტენკო დაამტკიცა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. პ. ვ. კუზმინი დაამტკიცა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. ნ. მ. პერვუხინი დაამტკიცა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ი. ვ. საუტინი დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. დ. დ. დეგტიარი დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. გ. მიშნაევსკი გაათავისუფლა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული. დამზადებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სამუშაოსაგან.

(საკდესი).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნაცვალი სარჩევის გამოცემა

კიევი, 7 იანვარი (საკდესი). უკრაინის დედაქალაქის მშრომელები ემზადებიან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავის აღსანიშნავად. სტალინის სახელობის პროპაგანდისა და აგიტაციის კიევის საოლქო სახლის ლექტორიუმი აწყობს წარმოებებში ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექციათა სერიას.

ლენინის დღეებისათვის უკრაინის გამომცემლობა „ხელოვნება“ უშვებს პორტრეტებს, პლაკატებს, ლოზუნგებს. ხელახლა გამოიცემა მხატვარ სტრახოვის ცნობილი პლაკატი, „ლენინი ჯავშნისანზე“, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცნობილი პორტრეტები—„ლენინი კითხულობს „პრავდას“ —„ლენინი და სტალინი გორკაში“.

დიდი ტირაჟით იქნება გამოცემული ღია ბარათები ვლადიმერ ილიას-ძეს პორტრეტებით, რომლებიც მკუთვნიან მისი რევოლუციური მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდებს.

დიპლომატთა ვრცეებში

7 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბ-ნი **სამბუ**.

ჩრდილოეთის ვაგზალზე **ბ. სამბუს** შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი** და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შემადგენლობა.

გაყიდულია 48 მილიონი ცალი წიგნი.

ლენინგრადი, 7 იანვარი (საკდესი). ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მშრომელნი უდიდეს მოთხოვნას უყენებენ პოლიტიკურს, სამეცნიერო, ტექნიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. წარსულ წლის განმავლობაში „ლენოკოგიზის“ მაღაზიებში გაყიდულია 18 მილიონი ცალი წიგნი—6 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე 1936 წელს. ოლქის კოლმეურნეებმა, მუშებმა და ინტელიგენციამ წლის განმავლობაში იყიდეს 10 მილიონამდე წიგნი.

თავდაცვა-ავიაქიმიელები მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავისათვის ემზადებიან

ლენინგრადი, 7 იანვარი (საკდესი). თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო ორგანიზაციები წითელი არმიის 20 წლისთავისათვის ემზადებიან. ფაბრიკებსა და ქარხნებში სდგება მუდმივი მსროლელი გუნდები. პირველი და მეორე საფეხურის ვოროშილოველი მსროლელებისაგან. საავიაციოებში ტარდება კითხვა, ლექციები და საუბრები წითელი არმიის სახელოვან იუბილეზე.

საცხოვრებელ სახლებსა და სკოლებში იქმნება თავდაცვა-ავიაქიმის გუნდები. ყველა გუნდი ემზადება ნორმების ასამაღლებლად კოლექტიურ ნიშანზე „მზად ვარ საჭიროს თავდაცვისათვის“. საბჭოთა პუნქტები ერთმანეთს ეჯიბრებიან წითელი არმიის დღისათვის წვევამდელთა სწავლების წარმატებით დამთავრებაზე.

ერმ. ბურჯულაძე
საქ. განათლების სახალხო კომისარი.

სწავლების მაღალი ხარისხისათვის

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიფურჩქნა და აყვავდა ჩვენში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ისტორიაში არნახული ტემპით განვითარდა და წინ წავიდა სახალხო განათლების საქმე. ამის ნათელსაყოფად რამდენიმე ციფრის მოყვანა კმარა. თუ 1914-15 წლებში სკოლების რაოდენობა საქართველოში აღწევდა 1503-ს 138.644 მოწაფითა და 5.155 მასწავლებლით, ახლა სკოლების რიცხვი უდრის 4223-ს და იქ სწავლობს 704 ათასზე მეტი მოწაფე და ასწავლის 26 ათასამდე მასწავლებელი.

პირისსისხლიანი ფაშიზმის აგენტებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს საქართველოს მშრომელთა განათლების საქმეს. განსახკომის ხელმძღვანელ აპარატში და ადგილებზე მოკალათებული ხალხის მტრები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისათვის.

ამის შედეგად ჩვენ ჩამოვრჩით მიმდინარე სასწავლო წლისათვის მზადების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო შენობებისა და საკლასო ოთახების დიდი ნაწილი მოუმზადებელი აღმოჩნდა. მერხების, დაფების, მაგიდების და სხვა სასწავლო ინვენტარის თვალსაჩინო ნაწილი დანჯღრეული, შეუკეთებელი და მეცადინეობისათვის გამოუსადეგარი იყო. მასწავლებელთა კადრების „შერჩევაში“ და „განაწილებას“ განსაკუთრებით მხოლოდ სექტემბერში შეუდგა. მასწავლებელთა განაწილებაში სრული უთავბოლობა იყო გამეფებული. ერთსადაიმავე თანამდებობაზე ხშირად 2—3 მასწავლებელი იგზავნებოდა, ერთი მასწავლებელი ერთდროულად ორ და ხანდახან სამ რაიონში ინიშნებოდა, ახლად განაწილებულ მასწავლებელთა შორის აქა-იქ აღმოჩნდნენ ხალხის მტერთა ნაბოლარები, აგრეთვე ისეთები, რომელთა პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაცია არ შეეფერებოდა საბჭოთა სკოლის გაზრდილ მოთხოვნებს.

პედაგოგთა კადრებით ჩვენი სკოლები ამჟამად ძირითადად უზრუნველყოფილია. მაგრამ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ხშირად თვითნებურად სრულიად უპატიჟებლოდ ხსნიან მასწავლებლებს, რითაც არღვევენ პარტიისა და მთავრობის ცნობილ დირექტივას. ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგე წასწარი პერსონალური შესწავლის გარეშე წარმოადგენს ხოლმე მოსაწვეთ მასწავლებელთა სიებს დასაკუთრებლად. ამის გამო ხშირად გაწასკომიც უშვებდა შეცდომებს და მასწავლებელი დაუმსახურებლად იხსნებოდა. მაგალითად, ცხემლისხიდის სკოლის მასწავლებელს ოლ. ბარამიძეს განათლების განყოფილებამ მოგონილი ბრალდებები წაუყენა, მოხსნა თანამდებობიდან, მაგრამ, როცა ადგილზე შევამოწმეთ, ბრალდებები არ დადასტურდა და ბარამიძე აღვადგინეთ.

მასწავლებელთა უკანონოდ მოხსნის მრავალი შემთხვევა იყო ჭიათურის, გორის, ქუთაისის, მახარაძის, გეგეჭკორის, ყვარლის და სხვა რაიონებში. განათლების განყოფილების ბევრი გამგე უსინდისოდ დამოკიდებულებას იჩენდა მოხსნილ მასწავლებელთა საქმის გარჩევის დროს და თავს არიდებდა განათლების კომისარიატის შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

სახალხო განათლების ორგანოების ერთერთი უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება. ამ საქმეშიც მრავალი არსებითი ნაკლოვანება გვაქვს. რაც მთავარია, სკოლის ასაკის (8—11 წლიანები) ჯერ კიდევ ბევრი ბავშვია დარჩენილი სკოლის გარეთ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საქართველოში სკოლის გარეთ არის 33.908 ბავშვი, ე. ი. 8—11 წლის ასაკის ბავშვთა 7 პროცენტზე მეტი. ამ მხრივ სამარცხვინოდ ჩამორჩენიან თბილისის, ქუთაისის, გეგეჭკორის, კასპის, ალბულაღის, ასპინძის, გორისა და სხვ. რაიონები.

ხალხის მტრები სასკოლო მშენებლობაშიაც აფათურებენ თავიანთ ბინძურ თათებს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი პირობები არსებობდა, სოხუმისა და გალის სასკოლო შენობების აგება დღემდე არ დამთავრებულა. იმის გამო, რომ სკოლის მშენებელ ორგანიზაციებს უნიათო ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, რომელთაც ვერ გამოიჩინეს საათანადო თაოსნობა და უხარისხო, საბავშვო ბაღების მშენებლობა მთლიანად ჩაიშალა და 1937 წელს დასამთავრებელი ობიექტების მშენებლობა 1938 წლისათვის იქნა გადატანილი. სასკოლო შენობების აგების საქმეში ადგილი ჰქონდა აშკარა დანაშაულებრივ ქმედობასაც (თიანეთში, ქუთაისში, აფხაზეთში, გორში და სხვ.).

უარეს მდგომარეობაშია იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებიც რაიონმასკომებსა და განათლების განყოფილებებს აქვთ მინდობილი. განსახკომის სააღმშენებლო სამმართველომ ვერ შესძლო სასკოლო მშენებლობისათვის გაეწია ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი. რაიონმასკომები და განათლების განყოფილებანი (წულუკიძის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, წალკის და სხვ.) თვითნებურად სცვლიდნენ ხასკოლო შენობათა პროექტებს, აშენებდნენ უპროექტოდ, არ ატარებდნენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ სტეხურზე აყვანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სკოლების დროულად უზრუნველყოფას სწორად შედგენილი პროგრამებით და სასწავლო გეგმებით. განსახკომის ყოფილი მაგნებური ხელმძღვანელობის მოთხოვნით პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო გეგმაში არ შეიტანეს სსრკ კონსტიტუცია და უცხო ენები. პროგრამები და სასწავლო გეგმები მხოლოდ უკანასკნელ ხანებში იქნა შედგენილი და ისინი სასწავლებლებს დღემდე არა აქვთ მიღებული. დაწყებითი სკოლების სამმართველოს უქნარა ხელმძღვანელთა მეოხებით მასწავლებლებს ახლაც არა აქვთ ხატვის, სიმღერა-მუსიკის და ფიზკულტურის პროგრამები.

მართალია, სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა მთლიანად შესრულდა, მაგრამ სახელმძღვანელოთა საკმაო ნაწილი ხარისხისა და იდეურ - პოლიტიკური გამართულობის მხრივ დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს გასაგებიცაა, რადგან ზოგი სახელმძღვანელოს შედგენა და რედაქტირება მინდობილი ჰქონდათ ხალხის ამჟამად გამომქელავებულ საზიზღარ მტრებს.

ცუდად არის დაყენებული პედასწავლებლებისა და უმაღლესი პედაგოგიური სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის საშუალებით მასწავლებელთათვის უნდა გამოგვეცა მეთოდური ლიტერატურა, თეორიული და პრაქტიკულ-პედაგოგიური ხასიათის წიგნები, მაგრამ ჯერჯერობით ერთი წიგნიც არ გამოგვიცია. ეს მაშინ, როცა ჩვენს სკოლებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა, გამოუცდელ მასწავლებლებში, ასეთი ხასიათის წიგნების დიდი მოთხოვნილებაა.

მოგვარებული არ არის სკოლების საათანადო კაბინეტებითა და ხელსაწყოებით მომარაგების საქმე. მართალია, რაიონების განათლების განყოფილებებმა დროულად დასდეს სახელგამთან ხელშეკრულებანი, მაგრამ სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენმა სკოლებმა მაინც ვერ მიიღეს ქიმიის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების კაბინეტები და საჭირო სასწავლო-დიდაქტიკური მასალა. სახელგამმა გასული წლების მსგავსად წელსაც ჩაშალა კაბინეტებით და დიდაქტიკური მასალით სკოლების მომარაგების საქმე. აქ დანაშაული უდავოდ მიუძღვით განათლების განყოფილებებსა და სკოლების დირექტორებსაც.

უნდა აღინიშნოს კოოპერაციის დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების გაჭრობის დაყენებაში. ის სკოლები, რომლებიც მიმაგრებული არიან სამომხმარებლო კოოპერაციაზე, ყველაზე ცუდად მარაგდებიან. ჩვენ ვერც წელს მოვახერხეთ ამ არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრა, ცეკავშირი საათანადოდ ვერ ასრულებს ამ მხრივ მასზე დაკისრებულ მეტად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ ამოცანას.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით რამდენიმე რაიონის სკოლები შევამოწმეთ. ამ შემოწმება-შესწავლამ გვიჩვენა, რომ, პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შედეგად, ჩვენმა სკოლებმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს—გაიზარდა ფრიადოსანთა რიცხვი, უფრო განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა. საბჭოთა მასწავლებლობას და მოსწავლეებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობები მუშაობისა და სწავლებისათვის.

მეორე მხრივ გამოკვლევის შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ სწავლების ხარისხი მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. თიანეთის არასრულ საშუალო სკოლაში დედა-ენის სწავლება (მასწავლებელი—მ. გოგიჩაშვილი) ცუდად არის დაყენებული. მასწავლებელი გრამატიკულ მასალას პირდაპირ სახელმძღვანელოდან აკითხებს მოწაფეებს. სავსებით მიტოვებულია მხატვრული კითხვა. დიდი ჭყონისა და სალხინოს (გეგეჭკორის რაიონი) სკოლებში მოსწავლეებს მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის გარეშე ეძლევათ ენობრივი წესების გაკვეთილები. თიანეთის პედაგოგიური სასწავლებლის მოწაფეებს სწორი წარმოდგენა არა აქვთ მწერლებზე. ეს იმიტომ, რომ მასწავლებელი ჯალაღანია თვითონ არ არის რიგიანად მომზადებული. მან შოთა რუსთაველი დაახასიათა როგორც „ფეოდალური დინასტიის“ დამცველი მწერალი.

სათანადო დონეზე ვერ დგას წერითი მეტყველების კულტურა თიანეთის, ქვაცხის (ჭიათურის რაიონი), ვანის, სალხინოს და დიდი ჭყონის (გეგეჭკორის რაიონი) სკოლებში, წერითი ნამუშევრების გასწორებას ყურადღება არ ექცევა. მასწავლებლის მიერ აღნიშნულ შეცდომებს მოსწავლეები არ ასწორებენ, რითაც ყოველგვარი აზრი ეკარგება წერითი ნამუშევრების რეცენზიას. ხშირად ზოგიერთი მასწავლებელი გაუსწორებლად სტოვებს მოსწავლის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს რუსული ენის სწავლებაშიც. ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებელმა თვითონ არ იცის ეს საგანი. მაგალითად, ქვაცხის სკოლის მასწავლებელი რუსული ენის გაკვეთილებზე უხეშ შეცდომებს უშვებს. დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს მათემატიკის სწავლებაშიც. სათანადო ყურადღება არ ექცევა ამოცანებზე, მაგალითებსა და თეორემებზე სისტემატურ ვარჯიშს. გორის მეორე სკოლის მასწავლებელმა ს. დადიანიძემ მოსწავლეებს ვერ გაუმარტა სამკუთხედების მსგავსება, მცდარად განმარტა ცვლადი სიდიდეები, ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ამ სკოლის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა მასწავლებლის მიერ შერჩეული საკონტროლო მაგალითები.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ცნობილი დადგინილების შემდეგ, გეოგრაფიის სწავლებაში ერთგვარი გაუმჯობესება გვაქვს, მაგრამ ამასთან ერთად არის ნაკლოვანებანიც. მაგალითად, საჩხერის სკოლაში (მასწავლებელი—ჩაჩანიძე) მოწაფეები რუკაზე ლომბარდიის დაბლობს ფინეთში ეძებენ, ვერ ერკვევიან გეოგრაფიულ ცნებებში და სხვ.

მსგავს ნაკლოვანებებს ადგილი აქვს ისტორიის, კონსტიტუციის, ბუნებისმეტყველების და სხვა საგნების სწავლებაში.

სწავლების ხარისხის შემდგომ ამაღლებას აფერხებს დამპალი ლიბერალიზმი და შინაურულობა მოწაფეთა ცოდნის შეფასებაში. გასულ სასწავლო წელს უკანასკნელი კლასების წერითი ნამუშევრების შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ ლიბერალიზმის შემთხვევები არც ისე იშვიათია. მაგალითად, სოფ. არგვეთის (ჭიათურის რაიონი) საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლეთა წერითი ნაშრომები 50 პროცენტით შეფასებული იყო ლიბერალურად. ვანის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. სირბილაძემ წერითი ნაშრომების 90 პროცენტი უმართებულოდ შეაფასა და სხვ. განსახკომი ასეთ მასწავლებელთა წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს მიიღებს. ლიბერალიზმს საბჭოთა სკოლაში, სადაც კომუნიზმის თავდადებულ მშენებლები იზრდებიან, ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ძალიან ცოტა არის გაკეთებული მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების დარგში: მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, როგორიც არის დაუსწრებელი სწავლება, ბევრი განათლების განყოფილების გამგე (გორის, კასპის, ადიგენის და სხვ.) უყურადღებას არ აქცევს.

სასწავლო წლის პირველი ნახევარი საგრძნობი წარმატებებით დავამთავრეთ. მაგრამ წარმატებებთან ერთად ჩვენს მუშაობას მრავალი არსებითი ნაკლოვანებაც ახასიათებს. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და იმ საბრძოლო ამოცანების შესრულება, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება გვაყენებენ ჩვენ, სახალხო განათლების დარგის მუშაკებს, მოითხოვს დაძაბულ მუშაობას. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა უფრო მოქნილი გავხდეთ განსახკომისა და განათლების განყოფილებათა აპარატი, დავაწესოთ ყოველდღიური ხელმძღვანელობა სკოლებზე, სისტემატური დახმარება გავუწიოთ მასწავლებლებს, კიდევ უფრო გავაძახველოთ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე, გამოვაჭყლავნოთ კლასობრივი მტრის დაფარული ნაბოლარები და ბოლომდე გავანადგუროთ ისინი.

თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტკაბინეტის გამგე ამხ. გ. გ. აბრესოვი (მარცხნივ) პროპაგანდისტ გ. ცაგურიშვილს ურჩევს ლიტერატურას პარტიის ისტორიიდან.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ).

პარტიულ თემაზე

საუკეთესონი პარჭიის რიგებში!

ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მეხუთე საქარგონო დეპოში 560 მუშა-მოსამსახურეა. აქ უამრავია სტახანოველები, დამკვრელები და სტალინური გაწვევის ნიშნოსნები, ზუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის ერთგული ადამიანები.

უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პარალელურად დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ რამდენადმე გააუმჯობესა მუშაობა პარტიაში ახალ წევრთა მისაღებად. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დეპოს ორგანიზაციამ თანამგრძნობთა ჯგუფიდან მიიღო ილიჭტრო-სამჭიროს მოწინავე სტახანოველები ამხ. ს. კილპატრიშვილი და ფ. პროკოპენკო, ლენინური კომკავშირის რიგებიდან პარტორგანიზაციაში გადაირიცხნენ მოწინავე ახალგაზრდები — ამხ. რ. არზუმანოვი და პ. ხეჩიკაშვილი, პარტკანდიდატობიდან წევრებად — ამხ. ა. სახვაძე და გ. ჯავახაძე. უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებულ იქნა ერთი ამხანაგი.

ამჟამად დეპოს პარტორგანიზაციაში პარტიაში მიღებაზე რამდენიმე განცხადებაა შეტანილი. აღსანიშნავია, რომ შეტანილი განცხადებები არ არის სწორად გაფორმებული. მაგალითად, კომკავშირელ შ. ლაშქარაშვილის საბუთებს აკლია ერთი რეკომენდაცია. ცუდად არის აგრეთვე შედგენილი პარტიის წევრობის კანდიდატის ამხ. რომანენკოს საბუთები. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ პარტიის რიგებში მისაღებ აქტივს აკონტროლებენ მხოლოდ ერთი-ორი კაცი.

დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი ამხ. ნ. უსახელთაშვილი) ზუშაობა უფრო მეტად უნდა გააუმჯობესოს, პარტიის რიგებში შემსვლელი ამხანაგები უკეთესად უნდა გაარკვიოს და მოამზადოს ბოლშევიკური პარტიის რიგებში შესასვლელად.

ნ. გევორკოვა

მეჯი მზრუნველობა ახალ პარჭიულ კადრებისათვის

ფაბრიკა მკერავ № 6-ში წლის განმავლობაში სტახანოველების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1937 წლის 1 იანვრისათვის ფაბრიკაში იყო 128 სტახანოველი, ამჟამად კი ფაბრიკა 260 მუშიდან 168 სტახანოველია.

პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღების განახლების შემდეგ მიღებულია 11 კაცი, ამათში ორი კანდიდატობიდან პარტიის წევრად არის გადაყვანილი, 3 კომკავშირელი და 6 თანამგრძნობი მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად.

ყველა ისინი არიან ფაბრიკის მოწინავე, წარჩინებული ადამიანები — სტახანოველები. მათ შორის არის სახელმძღვანელოებით საერთო ჯუთები.

ბევრ ადგილას სოფლის კოოპერატივებმა მიღებული რვეულები ზედმეტ ფასად გაჰყიდეს. მაგალითად, ფშავლის სოფლის კოოპერატივის ნოქარამა 10 კაპეიკად ღირებული რვეული 12 კაპეიკად გაჰყიდა. მანვე რვეულების ნაწილი კერძებზე გადასჭედა. ზემო ალვანის კოოპერატივში 10 კაპეიკიანი რვეული 13 კაპეიკად გაჰყიდეს. კერძებზე გაჰყიდეს რვეულები ახრითვე რუისპირში, ჯოყოლოში. ჰყიდდა რა რვეულებს კერძებზე, ზემო ალვანის სოფლის კოოპერატივის ნოქარი ამბობდა: „რვეულების კერძებზე გაყიდვა რაიკოოპკავშირმა დაგვავალა, მოიტანთ კერძებს, წაიღებთ რვეულებს, არა და დარჩებით ურვეულოდო“.

სახელგამის თქმით, განყოფილება მეტად უხეირიოდ მუშაობს. იგი საჭირო სახელმძღვანელოებით ვერ უზრუნველჰყოფს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ემსახურება.

სახელგამში მიღებულ სახელმძღვანელოებს „ნათლიმამობით“ ჰყიდიან. მაგალითად, სახელგამში მიიღეს მე-7 კლასისათვის ქართული ენის სახელმძღვანელო 300 ცალი. გამყიდველმა მარო ციხელიშვილმა მოსწავლე ისაკოვს აღნიშნული წიგნი ჯერ მისცა, შემდეგ ხელიდან გამოჰგლიჯა და ცალკე გადასდო. ჩვენ ამ ფაქტით დავინტერესდით, შევამოწმეთ და გამოირკვა, რომ მარო ციხელიშვილს „ნაცნობთათვის“ გადამალული ჰქონდა არა მარტო ერთი ცალი, არამედ 25 ცალი სახელმძღვანელო ქართული ენისა.

არც სახელგამი, არც კომკავშირი არ დაინტერესებულან, რომ თელავის რაიონი სასკოლო სასწავლო ნივთებით მოემარაგებინათ, ერთხელაც არ შემოუხედნიათ თელავში.

ს. ჟურაშვილი.

საღაა სახელმძღვანელოები და რვეულები?

(თელავი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონში 5399 მკერდმკოდნე და 4.600 უკოდინარია წერა-კითხვისა. მკერდმკოდნეთა სკოლებში ჩაბმულია 1249 კაცი, უკოდინაროების სალიკვიდაციო სკოლებში კი—მხოლოდ 1766.

ბევრ ადგილას მკერდმკოდნეთა და უკოდინართა სკოლებში დასწრება არაა უზრუნველყოფილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ვარდისუბნის, ნაფარეულისა და კურდღელაურის სოფლის საბჭოებზე. ჯოყოლოს სოფლის საბჭოში კი ჯერაც არ ჩამოუყალიბებიათ წერა-კითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები.

ჯოყოლოს სოფლის საბჭოში მასწავლებლებს შარშანდელი ხელფასიც არ მიუღიათ. საერთოდ რაიონში წერა-კითხვის უკოდინართა და მკერდმკოდნეთა სკოლების მასწავლებელთა ხელფასის დავალიანება 22 ათას მანეთს აღემატება.

წერა-კითხვის უკოდინაროების სალიკვიდაციო სკოლების მუშაობას ძალზე აფერხებს რაიკოოპკავშირის მოუქნელი მუშაობა. რაიკოოპკავშირმა თავიდანვე იცოდა, რომ სალიკვიდაციო სკოლებისათვის საჭიროა 60.000 რვეული, მაგრამ ჯერჯერობით ერთი ცალიც არ შემოუტანია. ამის გამო ყარაჯლის სოფლის საბჭოში, სადაც წერა-კითხვის 600 უკოდინარია, ჯერ ერთხელაც არ ყოფილა მიკვადინეობა.

არც დაწყებითი და საშუალო სკოლებია რვეულებით მომარაგებული. ამ სკოლებისათვის წელს საჭიროა 150.000 ცალი რვეული, მაგრამ რაიკოოპკავშირმა ძლივს მოახერხა 20.000 ცალი რვეულის შეტანა.

მოტანილი რვეულები თვეობით არ შორდება რაიკოოპკავშირის საწყობს. ასე იყო, მაგალითად, წელს. სიქტემბერში რაიკოოპკავშირის საწყობში აღმოჩნდა 1935—36 წლების

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ სარემონტო ქარხნის ენტუზიასტი • სტახანოველი, გამომგონებელი ამხ. შ. ნადირაძე (მარცხნივ) უზიარებს თავის გამოცდილებას ამხ. სოსენგო. ორივენი შეტანილი არიან ქარხნის საპატიო დაფაზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ).

ვიქტორ გაბესკირია

„ვეფხის-ყაოსნის“ გაჯერვნა

გიზგიზებს ცეცხლი, დგას სურნელოვანი ფერფლის ბორცვი,
ცეცხლი რუხ კედლებს ხეთა ტოტებს და რისხვას ახლის:
გარს მოხვეულა ირანელთა ჯარი და იწვის
ჩუქურთმიანი, სევდიანი ქართული სახლი.

იწვის მიდამო, ითელება მწვანე ჯეჯილი,
ვაზი, რომელსაც არ მოუსხამს ჯერაც მტევანი...
დამარცხებული და ქულაჯაჩამოგლეჯილი
მოყმეთა შორის იქვე მთაზე დგას ნოშრევანი.

უცებ დაეშვა იმ მხრისაკენ, სად ცეცხლი ბოლავს,
მისი ხმა რუხად განათებულ სიჩუმეს ჰკვეთდა!
დასირმულ ტანმა და ხანჯალმა თან გაიყოლა
ჩამავალი მზის სხივები და ცეცხლს შეუერთა.

და მტრის ლაშქარში სთქვეს, რომ „დარჩა იქ ოქროვანქრალის
ნივთები და მათ გადარჩენას ის შესძლებს განა?“
მაგრამ ხედავენ, უვნებელი მოდის ცეცხლიდან
და ფერფლწაყრილი ერთი წიგნი გამოიტანა.

როს გაატარეს წიგნი, სდუმდნენ, ვერაფერი სთქვეს,
თითქოს ხიბლავდათ ეს შემთხვევა ჯერ არნახული;
მაგრამ სთქვა ერთმა: „მოვტყუვდითო, რადგანაც ჩართველთ
თვალმარგალიტი ჰქონდათ, ალბათ, იქ შენახული!“

ვს. მეიერხოლდის თეატრის ლიკვიდაციის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება ვს. მეიერხოლდის სახელობის თეატრის ლიკვიდაციის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა სცნო, რომ მეიერხოლდის სახელობის თეატრი საბოლოოდ დაეშვა საბჭოთა ხელოვნებისათვის უცხო პოზიციებზე და უცხო გზდა საბჭოთა მაყურებლისათვის. ეს გამოიხატა იმით, რომ:

1) მეიერხოლდის სახელობის თეატრმა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ვერ შესძლო განთავისუფლებულიყო საბჭოთა ხელოვნებისათვის უცხო, თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიული, ფორმალისტური პოზიციებისაგან. ამის შედეგად, მომემარცხენო ჯგამბაზობისა და ფორმალისტური მანჭვა-გრეხის გულისათვის, რუსული ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებსაც კი თეატრში იძლეოდნენ დამახინჯებული, ანტიმხატვრული სახით, აყალბებდნენ მათს იდეურ დედაარსს („რევიზორი“, „ვაი ჭკუისაგან“, „ტარელკინის სიკვდილი“ და სხვ.).

2) მეიერხოლდის სახელობის თეატრი სრული ბანკროტი აღმოჩნდა საბჭოთა დრამატურგიის პიესების დადგმაში. ამ პიესების დადგმა იძლეოდა დამახინჯებულ, ცილისწამებლურ წარმოდგენას საბჭოთა სინამდვილეზე და გაყენთილი იყო ორაზროვნებითა და პირდაპირი ანტისაბჭოთა ლანძღვა-გინებით („თვით მკვლელი“, „ფანჯარა სოფლისაკენ“, „არმიის სარდალი 2“ და სხვ.).

3) უკანასკნელ წლებში საბჭოთა პიესები სრულიად გაჰქრა თეატრის რეპერტუარიდან. მთელი რიგი საუკეთესო არტისტები წავიდნენ თეატრიდან, ხოლო საბჭოთა დრამატურგებმა ზურგი შეაქციეს თეატრს, რომელიც ჩამოშორდა კავშირის მთელ საზოგადოებრივსა და სამხატვრო ცხოვრებას.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის მეიერხოლდის სახელობის თეატრმა არათუ არ მოამზადა და არცერთი დადგმა, არამედ მოახდინა პოლიტიკურად მტრული ცდა დაედგა გაბრილოვიჩის პიესა („ერთი სიცოცხლე“), რომელიც ანტისაბჭოურად ამხინჯებს ნ. ოსტროვსკის ცნობილ მხატვრულ ნაწარმოებს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

ყველა ზემოთ თავი დავანებოთ, ეს დადგმა იყო სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენება მეიერხოლდის სახელობის თეატრის ხარჯზე, რომელიც სახელმწიფო ფულადი სუბსიდიებით ცხოვრებას.

ყოველივე ამის გამო, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა დაადგინა:

ა) ლიკვიდირებულ იქნას მეიერხოლდის სახელობის თეატრი, როგორც საბჭოთა ხელოვნებისათვის უცხო;

ბ) თეატრის ჯგუფი გამოყენებულ იქნას სხვა თეატრებში;

გ) ცალკე იქნას განხილული თეატრის დარგში ვს. მეიერხოლდის შემოქმედი მუშაობის შესაძლებლობის საკითხი.

(საკდესი).

ცნობები კოლმეურნეობებიდან

მანდარინის უხვი მოსავალი

მახარაძე. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ 1937 წელს მანდარინის ჩაბარების გეგმა 140,1 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 მილიონი ცალისა, მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 9.117.000 ცალი მანდარინი.

მრავალმა კოლმეურნემ საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოკრეფილი და ჩაბარებული მანდარინის საფასოდ სახელმწიფოსაგან რამდენიმე ათასი მანეთი მიიღო. კოლმეურნე კალენიკე პატარაიამ სახელმწიფოს ჩააბარა 215.000 ცალი მანდარინი, გიორგი გორგილაძემ—198.000 ცალი, ყარამან მიმინოშვილმა—170.000 ცალი და სხვ.

კოლმეურნეობიდან და საკარმიდამო მეურნეობებიდან მიღებული ფულით ნატანებელი კოლმეურნეები იძენენ პიანინოებს, ველოსიპედებს, საკერავ მანქანებს და ოჯახის სხვადასხვა მოწყობილობას.

ბ. ხომერიკი

ერნსტ ტელმანს—250 ზრომადღე

ლანჩხუთი. გერმანიის კომპარტიის ბელადი ამხ. ერნსტ ტელმანი სოფ. აცანის მისივე სახელობის კოლმეურნეობის საპატიო წევრია. 1937 წლის 10 თვის განმავლობაში მას 257 ზრომადღე დაუწერეს. ამ ზრომადღეებზე კუთვნილი პირველი ავანსი—1.500 მანეთი კოლმეურნეობამ რემედასის ცენტრალურ კომიტეტს გადაურიცხა. მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილების შემდეგ რემედასს გადაერიცხება ერნსტ ტელმანის კუთვნილი მთლიანი შემოსავლის განსხვავება ფულად.

ჯ. ჩხაიძე.

ნიაღაგის მომზადებაში ჩამორჩენა

ვანი. 1938 წელს რაიონის კოლმეურნეობებში უნდა გაშენდეს 147 ჰექტარი ვაზი. ნერგის მიღების საკითხი მოწესრიგებულია, მაგრამ ჩამორჩენილია სავენახე ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება. ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად გასულ წლის 15 დეკემბრიდან 1 იანვრამდე რაიონში გამოცხადებული იყო სტახანოვური თხუთმეტდღიური, რამაც ერთგვარი გარდატეხა მოახდინა. მიუხედავად ამისა, სავენახე ნიადაგის მომზადების გეგმა ზოგიერთ კოლმეურნეობას მაინც არა აქვს შესრულებული.

ნ. თვალაბეიშვილი

გამოფენის კანდიდატი

ჟუთაისი. სოფელ საყულიის კოლმეურნეობამ „კომუნარმა“ წარმატებით დაამთავრა 1937 წელი და პირნათლად შეასრულა საკავშირო სას.-სამ. გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებანი. გეგმით გათვალისწინებული 12 ტონის ნაცვლად კოლმეურნეობამ ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 20 ტონა პამიდორის მოსავალი; სომინდი, ნაცვლად 18 ცენტნერისა, მოიყვანა 23 ცენტნერი, არახისის მოსავალი 15 ცენტნერიდან აიყვანა 18 ცენტნერამდე.

კოლმეურნეობას გაშენებული აქვს 100 ჰექტარი ხეხილის ბაღი და 75 ჰექტარი სპეციალური და ტექნიკური კულტურები. ეს კოლმეურნეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ღირსეული კანდიდატია.

ზრ. არეშიძე.

საბჭოთა კავშირისთვის მიძღვნილ საჩუქართა გამოფენაზე

დიდი ინტერესით ეცნობიან მოსკოველები იმ საჩუქართა გამოფენას, რომლებიც საბჭოთა კავშირს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა უძღვნეს დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავზე. ეს გამოფენა რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის ფილიალში.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკური ესპანეთის მეომართა სამხედრო ტროფეები, რომელნიც მათ მოიპოვეს ფაშიტ მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლებში: ტყვია-მფრქვეველი, ძირჩამოგდებული გერმანული „იუნკერსიდან“, ცეცხლწამკიდი ყუმბარა და სხვა. საჩუქრებს შორის არის დიდძალი მხატვრულად შესრულებული ესპანეთის ფაშისტური მეთოდების დამუშავება და ბერძენი მინერალური ნედლეულის ტექნოლოგიის საკითხების შესწავლა და დამუშავება.

ჩვენი მრეწველობა გასაოცარი ტემპებით ვითარდება. დიადმა სტახანოვურმა მოძრაობამ დაანგრია ძველი, დახავსებული ნორმები. სამთამადნო მრეწველობის წარჩინებული ადამიანები დიდად ზრდიან მინერალური ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ახალ ტექნიკურ ნორმებს.

სოციალისტური მშენებლობა გეოლოგიური სამსახურისაგან მოითხოვს ისეთ ტემპებს, რომლებიც მინერალური ნედლეულის საჭირო რაოდენობით უზრუნველჰყოფენ ჩვენს მზარდ მრეწველობას.

საქართველოს სახკომსაბჭოს 1937 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში მოცემულია გეოლოგიური სამსახურის გაუმჯობესების კონკრეტული პროგრამა. სიტყვა ახლა ჩვენს გეოლოგებს ეკუთვნის. უახლესი მომავალი გვიჩვენებს, შესძლებენ თუ არა ისინი სწრაფად გარდაჭმნან თავიანთი მუშაობის მეთოდები და ამით გეოლოგიური კვლევა-ძიება აიყვანონ განვითარების მაღალ საფეხურზე.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ სარემონტო ქარხნის ენტუზიასტი • სტახანოველი, გამომგონებელი ამხ. შ. ნადირაძე (მარცხნივ) უზიარებს თავის გამოცდილებას ამხ. სოსენგო. ორივენი შეტანილი არიან ქარხნის საპატიო დაფაზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ).

დ. როდონაია

გუნებრივი სიმდიდრენი სოციალიზმის სამსახურში

მძლავრად ვითარდება სოციალისტური ქვეყნის მრეწველობა. ზრდის და აღმავლობის სასწაულებს გვიჩვენებს მისი ერთერთი მეტად მნიშვნელოვანი დარგიც—სოციალისტური სამთამადნო მრეწველობაც.

ამასთან დაკავშირებით, გეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლა-გაფართოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „სახალხო მეურნეობის განვითარება,—ნათქვამია მე-16 პარტყრილობის დადგენილებაში,—აუცილებელს ხდის გეოლოგიურ კვლევა-ძიებას მიეცეს ისეთი ტემპები, რომლებიც მინერალური ნედლეულის თავის დროზე მომზადების მიზნით საგრძნობლად გაუსწრებენ წინ მრეწველობის განვითარების ტემპებს“.

მას შემდეგ განვლო შვიდმა წელმა, მოკლე, მაგრამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით სავსე შესანიშნავმა პერიოდმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მინერალური ნედლეულის შესწავლის დარგში ბევრი რამ გაკეთდა. 1917 წელთან შედარებით მისი შესწავლილი მარაგი თითქმის სამნახევარჯერ გადიდდა.

დაწვრილებით შეისწავლეთ ჭიათურის მარგანეცის საბადოები, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის ბუდობები, ფერადი ლითონების საბადოები, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების საგრძნობი მარაგი სვანეთში, ბორჩალოში, შავი ოქროს—ნავთის მეტად პერსპექტიული საბადოები კახეთში, ქიმიური, სამთამადნო და საშენი ნედლეულის მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საბადოები აფხაზეთში, გურიაში, სამხრეთ-ოსეთში და სხვ.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გეოლოგიური სამსახური მისი დღევანდელი სახით მთლიანად უპასუხებდეს ქვეყნის სამეურნეო განვითარების აქტუალურ საკითხებს. სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის ცაკის მეორე სესიაზე ამხანაგმა მოლოტოვმა აღნიშნა, რომ გეოლოგიური კვლევა-ძიება საბჭოთა კავშირში უკანასკნელ დრომდე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს.

ამხანაგ მოლოტოვის ეს შეფასება სავსებით და მთლიანად შეეხება საქართველოს გეოლოგიურ სამსახურსაც. მრეწველობის მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი დარგების სათანადოდ განვითარება საქართველოში დღემდე საგრძნობლად ბრკოლდებოდა შესაფერი სანედლეულო ბაზის შეუსწავლელობითა და მოუმზადებლობით. მაგალითად, საქართველოს ბარიტის მრეწველობაში ნედლეულის კვალიფიციური მარაგის მოუმზადებლობამ და მისი სანედლეულო ბაზის გეოლოგიურად შესწავლის საკითხის შეუფასებლობამ დიდი ზიანი მიაყენა სამთამადნო მრეწველობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგს.

დღემდე გეოლოგიურად შესწავლილი არ არის სამენ მასალათა მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საბადოები (აჯამეთის სპენგუტეტები, საცემენტე ნედლეული თეკლათში, აფხაზეთში, დოლომიტების საბადოები აფხაზეთში და სხვ.).

ავიღოთ ქვეყნის გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური შესწავლის საკითხები. გეოლოგიური შესწავლის შედეგებ ფორმდება გეოლოგიური რუკების სახით, ურომლისოდაც შეუძლებელია შემდგომი სერიოზული და დეტალური გეოლოგიური ძიება.

მართალია, ამჟამად საქართველო ამ მხრივ წინ უსწრებს სსრ კავშირის ბევრ რესპუბლიკასა და ოლქს, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული გეოლოგიური რუკების დიდი უმრავლესობა მცირე მასშტაბიანია, ე. ი. ისეთი, რომლებიც ქვეყნის გეოლოგიური შენების მხოლოდ საერთო, ძირითად შტრიხებს იძლევიან.

შედარებით დიდმასშტაბიან რუკებში (1:1000.000) გადატანილია კარტირებული ტერიტორიის დაახლოებით 25—30 პროცენტი. ცხადია, გეოლოგიური შესწავლის ასეთი დონე ვერ დააკმაყოფილებს ქვეყნის სამეურნეო და სამრეწველო განვითარების პრაქტიკულ ამოცანებს და ვერც უზრუნველჰყოფს სასარგებლო წიაღისეულთა დაშვრილებით გეოლოგიური ძიების წარმატებით მსვლელობას.

ჩვენი მიწის წიაღის შესწავლის დარგში ასეთი ჩამორჩენა, სხვათა შორის, აიხსნება იმითაც, რომ დღემდე გეოლოგიური სამუშაოები საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ტარდებოდა არა ერთიანი და მთლიანი გეგმის საფუძველზე, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სრულიად დამოუკიდებლად, დაჭუცმაცებულად. ეს ორგანიზაციები გამოდიოდნენ არა საერთო სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისიდან, არამედ თავიანთი ვიწრო უწყებრივი ინტერესებიდან. გასაკვირი არ არის, თუ ასეთ პირობებში წარმოებული გეოლოგიური ძიების ზოგი მეტად მნიშვნელოვანი შედეგი „იკარგებოდა“, ხოლო მძიმე-გეოლოგთა კვალიფიციური კადრი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი უნაყოფოდ და შეუმჩნევლად იქაჩაჩებოდნენ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გასული წლის 17 ნოემბრის და საქართველოს სახკომსაბჭოს იმავე წლის 27 დეკემბრის დადგენილებებით ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო ეღება.

საქართველოს სახკომსაბჭოს ზემოხსენებული დადგენილებით საქართველოში ყალიბდება საქართველოს გეოლოგიური ტრესტი, რომლის ამოცანაა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში წარმოებული გეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვა და საერთო ხელმძღვანელობა, საქართველოს გეოლოგიური რუკების და საქართველოს სასარგებლო წიაღისეულთა განლაგების რუკების დამუშავება და შედგენა.

უეჭველია, ასეთ ღონისძიებათა გატარებით გეოლოგიურ სამსახურს საქართველოში შეექმნება მტკიცე ბაზა მინერალური ნედლეულის შესწავლისა და გამუშქებისათვის.

მაგრამ საკითხი მარტო ორგანიზაციულ - ტექნიკური საკითხების სწორი გადაწყვეტით როდი ამოიწურება.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მიწის წიაღის კვლევა-ძიების მეთოდურ მხარეს, რაც დღემდე სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება.

ჩვენი გეოლოგიური ანგარიშების უმრავლესობა, ზოგიერთის გარდა, გამომჭრელი სამჭიროს სტახანოველი ამხ. ვ. მზაცაკანოვა, რომელიც დღიურ გეგმას რევულარულად ასრულებს 257 პროცენტით, სტახანოველები ამხ. ე. შიხინაშვილი, ს. საკოვი, ა. ნაზარეტიანი და სხვ.

ამხ. ა. ნაზარეტიანი ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს თავის გეგმას. იგი იმავე დროს არის ფაბრიკის ერთერთი საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკთაგანი. ამხ. ნაზარეტიანი წესიერად ასრულებს პარტიის ყველა დავალებას. მისი ინიციატივით ყველა ზუშა ჩაბმულია ულმერთოთა კავშირში.

ამხ. ს. საკოვი — ამჟამად პარტიის წევრობის კანდიდატი — აქტიურად მუშაობდა თანამგრძნობთა ჯგუფში. იგი ერთერთი საუკეთესო აგიტატორია ფაბრიკაში.

ფაბრიკის მზარდ აქტივს ესაჭიროება პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაძლიერება და აღმზრდელობითი ზუშაობის გაუმჯობესება. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია ჯერჯერობით ნაკლებ ყურადღებას უთმობს თანამგრძნობთა შორის მუშაობას, კომკავშირულ ორგანიზაციის პარტიულ ხელმძღვანელობას, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას და ბოლშევიზის დაუფლებისათვის ბრძოლას.

(საქდესი).

ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომის და ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატების მშრომელთა დეპუტატების ბათუმის ქალაქის საბჭოს 1938 წლის 5 იანვრის № 17 ერთობლივი სხდომის

დადგენილება

ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომისა და ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატების მშრომელთა დეპუტატების ბათუმის ქალაქის საბჭოს 1933 წ. 17 იანვრის და 1935 წ. 26 მაისის დადგენილებათა ძალაში დატოვების შესახებ

ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომისა და ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატების მშრომელთა დეპუტატების ბათუმის ქალაქის საბჭოს ერთობლივი სხდომა დადგენილებას აძლევს:

1. ბათუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომისა და ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატების მშრომელთა დეპუტატების ბათუმის ქალაქის საბჭოს 1933 წ. 17 იანვრის და 1935 წ. 26 მაისის დადგენილებათა ძალაში დატოვების შესახებ,